ქალაქ თბილისის

საკრებულო

www.tbilisisakrebulo.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

შალვა ოგბაიძის

2024-2025 წლის ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია:

- მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრი;
- საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი;
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 და ბიუროს 20 სხდომა. ჯამში, მიღებული იქნა 104 დადგენილება და 742 განკარგულება.

ინფორმაცია საკრებულოს კომისიების/ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

1. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“:**

ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- ს 17 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 30 საკითხი.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია:**

ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის 13 სხდომა, განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 22 საკითხი.

3. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია:

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის **14** სხდომა, განხილული იქნა **33** საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

საანგარიშო პერიოდში დედაქალაქში განხორციელებული ღონისძიებები ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით:

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. შესაბამისად, სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, კვლავაც გრძელდება ტრანსპორტით მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. რეფორმის ფარგლებში, არაერთი პროექტი დაიწყო და ხორციელდება საანგარიშო პერიოდშიც:

- **თბილისის ბიუჯეტი**:

თბილისის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა **2 348 609.0** ათას ლარს შეადგენს *(2024 წლის: 2 077 927.2 ათასი ლარი)*.

ტრანსპორტის განვითარებისთვის გამოყოფილია **585 059.7** ათასი ლარი (*2024 წლის: 513 535.3 ათასი ლარი).*

მათ შორის:

- ✓ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები დაფინანსებულია **43 157.2** ათასი ლარით;
- ✓ მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა დაფინანსებულია **300.0** ათასი ლარით;
- ✓ თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება დაფინანსებულია **145 412.5** ათასი ლარით;
- ✓ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია დაფინანსებულია **396,190.0** ათასი ლარით.

- **ავტობუსების პარკი:**

- ✓ 2024-2025 წლებში, შესყიდული იქნა 200 ერთეული, ევროპული სტანდარტის მქონე, ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის საქალაქო ავტობუსი;
- ✓ ავტობუსები გადაადგილდებიან 10 სწრაფ სატრანსპორტო დერეფანში, რომელიც ყველა რაიონს ერთმანეთთან აკავშირებს;
- ✓ აშენდება ცოტნე დადიანის ქუჩისა და სადგურის მოედნის დამაკავშირებელი ახალი საავტობუსე ხიდი, რომელიც ნაძალადევისა და ჩუღურეთის რაიონს უმოკლესი გზით დააკავშირებს.

- **თბილისის მეტრო:**

- ✓ დასრულდა მ/ს „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები, გრძელდება მ/ს „ვარკეთილის" რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ დაგეგმილია თბილისის 12 მეტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. 2026 წლიდან გამოცხადდება ტენდერი დეტალურ პროექტირებაზე და სამშენებლო სამუშაოებზე;
- ✓ 2030 წლამდე ექსპლუატაციაში ეტაპობრივად გაეშვება მეტროს ახალი 111 ვაგონი (25 მატარებელი). მათ შორის, 14 ერთეული 4-ვაგონიანი და 11 ერთეული 5-ვაგონიანი შემადგენლობა, ახალი მატარებლები იქნება ე.წ. ,,გამჭოლი ვაგონებით“. 5 ვაგონიანი მატარებელი 25% -ით მეტი მგზავრის გადაყვანას შეძლებს;
- ✓ დაგეგმილია მ/ს ,,მარჯანიშვილისა“ და მ/ს ,,ახმეტელის თეატრის“ მეორე ამოსასვლელების მშენებლობა;
- ✓ დაგეგმილია მეტროს ახალი სადგურების დამატება ვარკეთილსა და გლდანში, რაც მგზავრთნაკადს 15%-ით გაზრდის.

- **საბაგირო:**

იგეგმება სამი ახალი საბაგირო დერეფნის მოწყობა:

- ✓ ისანი-მეტრომშენი -ვაზისუბანი;
- ✓ მ/ს ,,სარაჯიშვილი - ზღვისუბანი;
- ✓ მ/ს ,,სამგორი“ - ვაზისუბანი.

ახალი საბაგიროები დედაქალაქში გადატვირთულ მოძრაობას შეამსუბუქებს და რთულად მისადგომ უბნებს ერთმანეთთან უმოკლეს დროში დააკავშირებს.

- **მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ტრანსპორტის დატვირთულობა:**

საანგარიშო პერიოდში სულ გადაყვანილია **279 120 793** მგზავრი, მათ შორის:

- M3 კატეგორიის ავტობუსებით – **121 183 197** მგზავრი;
- მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) – **105 492 643** მგზავრი;
- M2 კატეგორიის ავტობუსებით – **50 725 323** მგზავრი;
- საბაგირო გზით – **1 719 630** მგზავრი, მათ შორის:

  - ✓ უნივერსიტეტი–ბაგები – 87 986 მგზავრი,
  - ✓ ჭავჭავაძის გამზირი–კუს ტბა – 165 679 მგზავრი,
  - ✓ რიყე–ნარიყალა – 1 465 965 მგზავრი.

გაყიდულია **218 514** ცალი აბონემენტი მათ შორის: (1 დღე – 69 704 ცალი (209 112 ლარი),1 კვირა – 5 510 ცალი (110 200 ლარი), 1 თვე – 117 376 ცალი (4 695 040 ლარი), 3 თვე – 4 429 ცალი (442 900 ლარი), 6 თვე – 8 614 ცალი (1 292 100 ლარი), 1 წელი – 12 881 ცალი (3 220 250 ლარი).

- **საგზაო ნიშნები/დახაზვითი სამუშაოები:**

- ✓ განხორციელდა ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოები: აკრილის საღებავით მონიშნული იქნა – 4 213.08 კვ.მ; თერმო პლასტით – 576 019.55 კვ.მ; ცივი პლასტით – 2 677 646.58 კვ.მ. წაიშალა 523,884.6 კვ.მ ჰორიზონტალური მონიშვნა; მოირეცხა – 1,550 კვ.მ; მოხდა მონიშვნის გაშრობა – 742,023.4 კვ.მ ფართობზე.
- ✓ დამონტაჟდა 4 028.6 გრძ.მ (60.3 მმ; 76 მმ; 159 მმ) სიგრძის გალვანიზებული დგარი;
- ✓ განხორციელდა 1 192 ცალი საგზაო ნიშნის დგარის მონტაჟი მათ შორის: 37 ცალი სფერული სარკის გალვანიზირებული დგარის მონტაჟი;
- ✓ შეძენილი იქნა და დამონტაჟდა 79 ცალი 1200 მმ. ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე (ანტივანდალური ტექნიკური თვისებების მქონე);
- ✓ შეძენილი იქნა 1 647 ცალი შუქდამბრუნებელი საგზაო მარკერი;
- ✓ დამონტაჟდა 2 099 ცალი ეთილენ ვინილაცეტატის მოქნილი "EVA" ბოძკინტი;
- ✓ განხორციელდა 3 081 ცალი ბოძკინტის მონტაჟი;
- ✓ ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით, მსუბუქი ფორმით გადაიბელა 63 ცალი მწვანე ნარგავი;
- ✓ განხორციელდა 488 გრძ/მ ფოლადის ბაგირის და 1 440 ცალი ბოძკინტის დემონტაჟი და დასაწყობება;
- ✓ დამონტაჟდა 1 634 ცალი წრფივი საორიენტაციო შუქდამბრუნებელი;
- ✓ დამონტაჟდა 250 გრძ.მ. სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები (ბარიერი);
- ✓ გაირეცხა/გასუფთავდა 152 ცალი ბოძკინტი;
- ✓ განხორციელდა 3 573.5 გრძ.მ გალვანიზირებული ფოლადის ბაგირის შეძენა.

- **შუქნიშნები:**

- ✓ შეიცვალა შუქნიშნის 98 მოდული;
- ✓ სხვადასხვა ნაკლოვანებები იქნა აღმოფხვრილი შუქნიშნის 183 ობიექტზე;
- ✓ დამონტაჟდა 31 ცალი ქვეითთა შუქნიშანი;
- ✓ განხორციელდა 240 გრძ/მ საკაბელო არხის მოწყობა;

- ✓ განხორციელდა 63 ცალი შუქნიშნის დგარის მონტაჟი;
- ✓ განხორციელდა შუქნიშნის 8 ობიექტის ელექტროსადენების, დგარების, კონსოლების, გამოსაძახებელი ღილაკების, ხმოვანი სიგნალების შემოწმება, საგზაო კონტროლერების და ავტონომიური კვების ბლოკის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება;
- ✓ განხორციელდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერისა და გარე გამოყენების უწყვეტი კვების სისტემის მოვლა-შენახვა ექსპლუატაციის მომსახურება;
- ✓ მიმდინარეობს შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების, კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება), უსაფრთხოების კუნძულების, ქვეითთა ამაღლებული გადასასვლელების და ტროტუარების მოწყობა;
- ✓ სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელდა 11 ცალი შუქნიშნის ობიექტის მოწყობა.

➢ **ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- ✓ სამგორის რაიონში, მიხეილ გახოკიძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია;
- ✓ გლდანის რაიონში, ახმეტელის ქუჩის სრული რეაბილიტაცია;
- ✓ ვაკის რაიონში, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და გიორგი წერეთლის ქუჩების სრული რეაბილიტაცია;
- ✓ ნოე ჟორდანიას სახელობის სანაპიროსა და კოსტა ხეთაგუროვის ქუჩის კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობა;
- ✓ ისნის რაიონში, აწყურის ქუჩის სრული რეაბილიტაცია;
- ✓ დავით სარაჯიშვილის გამზირზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობა;
- ✓ ბაგები-ქავთარაძის დამაკავშირებელი გვირაბი;
- ✓ გმირთა მოედანზე ,,ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები:

2024 წლის 19 ნოემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032431943-03; 14.11.2024):

  ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 1 826 308.6 ათასი ლარით, ხოლო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის პრიორიტეტი - 631 765,7 ათასი ლარით.

2024 წლის 22 ნოემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432550-03; 20.11.2024):

  პროექტის თანახმად, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა გაიზრდა 19 591,6 ათასი ლარით და გახდა 2 077 927,2 ათას ლარი. ასევე, დაემატა ახალი ქვეპროგრამა - საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) - 1 232,2 ათასი ლარის ოდენობით.

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03243231-03; 18.11.2024):

ცვლილების შედეგად, გაფართოვდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ სპეციალურ პარკირების ადგილზე პარკირების უფლების მქონე პირთა წრე. კერძოდ, საცნობი ნიშნის მიღების და შესაბამის ადგილზე პარკირების უფლება მიენიჭათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირებს, რომლებსაც აქვთ გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი, მაშინ როდესაც ცვლილებამდე, აღნიშნული უფლების მატარებლები მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იყვნენ.

- „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432414-03; 19.11.2024):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ერთპიროვნულად მიენიჭა ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის, ასევე ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსებაზე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე განსაზღვრული სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის ფუნქცია.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032432414-03; 19.11.2024).

2024 წლის 20 დეკემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032434554-03; 10.12.2024):

კომისიაზე დადებითი რეკომენდაცია მიეცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის საკითხს. პროექტის თანახმად, ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 1 983 178,0 ათასი ლარით. ხოლო, „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის“ პრიორიტეტი - 685 915,7 ათასი ლარის ოდენობით.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03243513-03; 16.12.2024);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032434869-03; 13.12.2024).

2024 წლის 27 დეკემბრის სხდომა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს“ (AIIB) შორის პროექტის (თბილისის

მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი“ (12-032436042-03; 25.12.2024):

კომისიის სხდომაზე მოწონებულ იქნა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB), თბილისის მუნიციპალიტეტს და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის პროექტის შესახებ ხელშეკრულება (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი). აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს, თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის 2024 წელს გაფორმდა პროექტის შესახებ ხელშეკრულება სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, სასესხო შეთანხმების თანახმად, პროექტის დაფინანსებაში დასახმარებლად სასესხო შეთანხმების წესებისა და პირობების გათვალისწინებით, ბანკმა მსესხებელს უნდა ასესხოს თანხა ასოცდახუთი მილიონი ევროს (EUR 125,000,000) ოდენობით („სესხი“). სასესხო შეთანხმების თანახმად, პროექტის მიზანია თბილისის მეტროს სისტემის ეფექტიანობის, სანდოობის, უსაფრთხოებისა და მდგრადობის გაზრდა ახალი მოძრავი შემადგენლობის შესყიდვის გზით.

2025 წლის 28 იანვრის სხდომა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032502486-03; 24.01.2025):

პროექტის თანახმად, ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 209 684,9 ათასი ლარით და განისაზღვრა 2 192,862.9 ათას ლარის ოდენობით.

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (16-032501425-03; 14.01.2025);

- „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032502488-03; 24.01.2025):

ცვლილების თანახმად, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში (bus line) გადაადგილების უფლება მიენიჭათ იმ სკოლების ავტობუსებს, რომელთაც ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ შესაბამისი განცხადებები. ასევე, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) დამტკიცებულ მარშრუტებში.

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032502489-03; 24.01.2025):

ცვლილების შედეგად, განკარგულების მოქმედების თარიღი გაგრძელდა 2025 წლის პირველ თებერვლამდე შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე. რაც გულისხმობს ისეთი შემთხვევების მართვას, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის დაკისრებული თანხა ან/და საურავი საბანკო დაწესებულების ან ელექტრონული გადახდის საშუალების მეშვეობით გადახდილია ისე, რომ მითითებული არ

არის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, თუმცა სწორად არის მითითებული სახაზინო კოდის ნომერი და სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი). განკარგულების საფუძველზე, პირველ თებერვლამდე შედგენილი ჯარიმები ჩაითვლება გადახდილად.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032502425-03; 24.01.2025).

2025 წლის 28 თებერვლის სხდომა:

- ,,ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი - პროექტის განხორციელების მხარდაჭერის“ შესახებ გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032505035-03; 19.02.2025):

საგრანტო შეთანხმების შესაბამისად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ფონდის რესურსებიდან გადაეცა გრანტი 500 000 ევროს (ხუთასი ათასი ევრო) ოდენობით, საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსების მიზნით. რაც გულისხმობს 2023 წლის იანვარში „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის“ მხარდაჭერის მიზნით საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების შედეგად გამოყოფილი სესხით (50 600 000 (ორმოცდაათი მილიონ ექვსასი ათასი) ევრო) თბილისის მეტროს სადგურების რეაბილიტაციის პროექტის საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსებას. EBRD-ის მიერ გამოყოფილი სესხით რეაბილიტაცია ჩაუტარდება თბილისის მეტრო სადგურებს. კერძოდ, განხორციელდება მეტროს სადგურების ადაპტირება შესაბამისი საჭიროებების მქონე პირებზე, მოხდება სადგურების ხელმისაწვდომობის

გაუმჯობესება, ესკალატორების რეაბილიტაცია და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03250583-03; 27.02.2025);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325058113-03; 27.02.2025);

- „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსებაზე თანხმობის გაცემის, აღნიშნული სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით ან სქემის გარეშე წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის №46-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325058113-03; 27.02.2025).

2025 წლის 21 მარტის სხდომა:

- საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე („თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი“), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან

თანხმობის მიღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032507383-03; 14.03.2025):

2025 წლის 23 იანვარს, საქართველოს და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტთან“ დაკავშირებით, ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 125 000 000 (ასოცდახუთი მილიონი) ევროზე. სასესხო შეთანხმების წესებისა და პირობების გათვალისწინებით, ბანკი საქართველოს გადასცემს ას ოცდახუთი მილიონი ევროს (EUR 125,000,000) ოდენობით სესხს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თანხმობა მისცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე.

2025 წლის 15 აპრილის სხდომა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ (12-0325058100-03; 27.02.2025);

- თბილისის მეტროს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

2025 წლის 20 მაისის სხდომა:

- „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032510477-03; 14.04.25):

ცვლილების თანახმად, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში (bus line) გადაადგილების უფლება მიენიჭა „შპს იუჯი სკოლის“

ავტობუსებს. ასევე, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) დამტკიცებულ მარშრუტებში.

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (16-03251202-03; 30.04.2025):

განკარგულების საფუძველზე, 2025 წლის პირველ ოქტომბრამდე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის დაკისრებული თანხა ან/და საურავი ჩაითვლება გადახდილად, ისეთ შემთხვევებში როდესაც მითითებული არ არის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, თუმცა სწორად არის მითითებული სახაზინო კოდის ნომერი და სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი).

2025 წლის 19 ივნისის სხდომა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032516961-03; 18.06.2025):

ცვლილების შედეგად, ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა - 62 150,0 ათასი ლარით და გახდა 2 271 497,5 ათასი ლარი. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) გაიზარდა 2 000,0 ათასი ლარით.

2025 წლის 25 ივლისის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325205134-03; 24.07.2025):

ცვლილების შედეგად, ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა - 77 111,4 ათასი ლარით და შეადგინა 2 348 609,0 ათასი ლარი. მათ შორის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 3 000,0 ათასი ლარით;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03252041-03; 23.07.25);

- ,,სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03252041-03; 23.07.25):

ცვლილების თანახმად, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში (bus line) გადაადგილების უფლება მიენიჭათ იმ სკოლების ავტობუსებს, რომელთაც ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ შესაბამისი განცხადებები. ასევე, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების

სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 ან M3 კატეგორია) დამტკიცებულ მარშრუტებში.

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03252041-03; 23.07.25):

პროექტი ითვალისწინებს მემკვიდრეობით მიღებული საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A" კატეგორიის ნებართვის გააქტიურების დროს ტექნიკური პროცედურების დახვეწას.

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბერის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03252041-03; 23.07.25):

მოცემული ცვლილების შედეგად, მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ დაიბრუნონ შეცდომით შეძენილი პარკირების საფასური, იმ პირობით, რომ მისი დაბრუნების მოთხოვნა წერილობით დაფიქსირდება გადახდის მომდევნო სამუშაო დღეს.

2025 წლის 19 აგვისტოს სხდომა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ 2025 წლის 6 თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

2025 წლის 23 სექტემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032526163-03; 18.09.25):

დადგენილებას დაემატა მომსახურების ახალი სახე და საფასური - „სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები“. პროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალებაზე მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გადამოწმების მომსახურების საფასური შეადგენს 1.5 ლარს (ერთი ერთეული ნებართვის გადამოწმების საფასური დღგ-ს ჩათვლით) და მოიცავს მხოლოდ სერვისის მიწოდების მომსახურებას.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (2030 წლამდე) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032526294-03; 19.09.2025):

კომისიამ დადებითი რეკომენდაცია მისცა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას“. გეგმა მოიცავს თბილისის

მუნიციპალიტეტის მიერ 2022-2030 წლებში, კომპეტენციის ფარგლებში, დაგეგმილ ღონისძიებებს ტრანსპორტის, შენობების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა (გარე განათება, ნარჩენების მართვა) და მწვანე სივრცეების განვითარების მიმართულებით.

2025 წლის 9 ოქტომბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0325272109-03; 29.09.2025).

➢ **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:**

✓ შედგა შეხვედრები მოქალაქეებთან (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან);

✓ თითოეულ მათგანს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია და დახმარება;

✓ გაგრძელდა შეხვედრები სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან;

✓ სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში სხვადასხვა მოთხოვნით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე განხორციელებული იქნა სათანადო რეაგირება;

✓ რიგ შემთხვევებში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისიაში შემოსული ინფორმაციის (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი) გადამოწმებისა და მითითებული ფაქტების დეტალურად შესწავლის მიზნით, დაიგეგმა გასვლები კონკრეტულ ადგილებზე. კომისიის წარმომადგენლები და სხვა უწყებების უფლებამოსილი პირები, ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას და პრობლემის ოპერატიულად გადაჭრის მიზნით, დაგეგმეს განსახორციელებელი ღონისძიებები;

✓ განცხადებებში დასმული პრობლემური საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, დაიგეგმა და ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, როგორც საკრებულოს შენობაში, ისე მის გარეთ;

✓ ასევე, სხვადასხვა უწყებებიდან, როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე ცალკეულ შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია/გაიგზავნა შეკითხვა და ინიციატივა.